საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990154922429723

№17/4729 **05 / დეკემბერი / 2023 წ.**

შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია“-ს დირექტორის
მოადგილეს, ბატონ აკაკი მშვიდობაძეს

ბატონო აკაკი,

თქვენი 28.11.2023 წლის N24933/1 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. ახმეტაში წყალარინების გამყვანი კოლექტორის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სკრინინგის ანგარიშზე სააგენტოს პოზიციის დაფიქსირების საკითხს, გაცნობებთ, რომ საპროექტო არეალის ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ახმეტის ღვთაების ტაძრის ვიზუალური დაცვის არეალში. თუმცა, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოები გულისხმობს შიდა გზების ტერიტორიაზე არსებული კოლექტორის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას, რომლის დროსაც არ იგეგმება ისეთი საქმიანობის წარმართვა, რომლითაც პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა აღნიშნულ ძეგლზე, ამიტომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაგეგმილი პროექტი განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქვე გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, თუ მიწის სამუშაოების წარმართვისას, ფიზიკური/იურიდიული პირი გამოავლენს არქეოლოგიურ ობიექტს, ან მისი არსებობის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და აღმოჩენის შესახებ აცნობოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი